Press Extracts:
There is something hypnotic about the work – the way in which its thread of theatre and dance, its eclectic score, draws you into a world in which all these bizarre activities become surreal logic
Ballet Magazine by Ian Palmer

This beautiful, precisely executed work is full of astonishing images. A trinity of the damned - the blind, deaf and dumb - perform a danse macabre of crime and punishment in which the roles of victim and executioner are constantly swapped. ...with giving the audience a firework display of images. But what images they are! Words fail me.
Lyn Gardner The Guardian

...think of the musical Chicago, reimagined through the sinister mechanics of a children's game, and touched with the mood of Brecht's Mahagonny - it provides Evgeny Kozlov and his inspired company with material for an outstandingly beautiful and thoughtprovoking show, even by their own high standards. But the quality of the movement is often breathtaking. And the whole show represents a magnificent masterclass for Festival-goers in what theatre is and can be - a feast of light, beauty and movement for all of the senses, turning theatrical space into a magical field of ideas and dreams, and creating a whole world so successfully that when the company take their bow, after 70 minutes, it's difficult to believe that only five performers have done so much, and carried us so far
Joyce  McMillian  The Scotsman

## About Theatre:

Founded in 1987 as an experimental physical and dance theatre company, DoTheatre is considered one of the most influential group to have come out of post Communist Russia. The company pioneered a stile of extreme physical theatre and created a dance language known as Russian Modernism which is brutal,

პოეტური დაძაბულობით გაჟღენთილი. 90-იანი წლების ადრეული პერიოდიდან დღემდე თეატრს საპატიო ადგილი უკავია ევროპის თეატრებს შორის და მისთვის დამახასიათებელ სტილს წარმატებით წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე. ოცი წლის პროფესიონალური მოღვაწეობის მანძილზე, თეატრს მსოფლის ოცდაათზე მეტ ქვეყანაში აქვს გამართული წარმოდგენები. იგი არის ედინბურგის ფესტივალის პირველი ჯილდოს მფლობელი (1999, 2001, 2007) ნომინირებულია: Total Theatre Award (საყოველთაო თეატრის ჯილდო, 2001, 2003), ეროვნული „ოქროს ნიღაბი“ (2008), საერთაშორისო „არასაბალეტო“ ქორეოგრაფიული კონკურსი (2010). კომპანია ამჟამად აახენში (გერმანია) მოღვაწეობს და ცეკვისა და თეატრალური ფესტივალების ხშირი სტუმარია.

demanding, yet infused with poetic tension. Since the early 1990's DoTheatre have both carved out unique place in European theatre and continued to develop their own style through international collaboration. In present. DoTheatre today is more then 20 years of professional staging in more then 30 counties around the world. Triple Edinburgh Festival First award winner (1999, 2001,2007), nominated for: Total Theatre Award (2001, 2003), National "Golden Mask" Award 2008, "no-ballet" international choreography competition 2010. The company currently based in Aachen (Germany) and tour their work to major dance and theatre festivals all over the world.

Do-Theatre are:

Evgeny Kozlov, Tanya Williams, Irina Kozlova, Alexander Bondarev, Yulia Tokareva






24-25 სექტემბერი
სპექტაკლი „ჯალათი“
მდებარეობა: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)
ბილეთის ფასი: 15, 20, 25 ლარი
დასაწყისი: 20:00
ხანგრძლივობა: 70 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

24th – 25th September
Performance "HANGMAN"
Venue: KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (Big Stage)
Ticket Prices: 15, 20, 25 GEL
Beginning At: 20:00
Duration: 70 minutes
Without Intermission



BAR RESTAURANT
GoldTIME
ON GRIBOEDOV



# ირჟი კილიანის თანამედროვე ბალეტი
# Jiří Kylián's Ballets



# Stepping Stones

სპექტაკლში გამოყენებულია – ჯონ კეიჯის საფორტეპიანო სონეტები – № 5, 3, 11, 16, ასევე
პირველი და მეორე ინტერლუდია. ანტონ ვებერნის ექვსი ბაგატელი სიმებიანი კვარტეტისათვის. თხზ. 9
დადგმა ნენსი ეუვერინკისა და კენ ოსოლასი
დეკორაციებისა და განათების მხატვარი – მაიკლ საიმონი
კოსტიუმების მხატვარი – ჯოუკ ვისერი
მსოფლიო პრემიერა შედგა 1991 წლის 23 ნოემბერს, შტუტგარტის საბალეტო დასის მონაწილეობით
პრემიერა თბილისში გაიმართა 2008 წლის 18 ოქტომბერს

Music by John Cage: Sonatas for prepared piano no. 5, 3, 11, 16 & First and Second Interlude; Anton Webern: Sechs Bagatellen für Streichquartett, opus 9
Staging by Nancy Euverink, Ken Ossola
Scenery and light by Michael Simon
Costume design by Joke Visser
World premiere 23 November 1991, Stuttgarter Ballett
Tbilisi premiere 18 October 2008

„Stepping Stones“ ირჟი კილიანმა „შტუტგარტ ბალეტისათვის“შექმნა. ბალეტი კილიანის შემოქმედების იმ ხაზს განეკუთვნება, რომელიც ანტიკური კულტურითა და, განსაკუთრებით, ავსტრალიელი აბორიგენების ცხოვრებაზე მისი ხედვით გამოწვეულ ღრმა აღფრთოვანებას გამოხატავს. აბორიგენთათვის ცეკვა კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ის წარსულისა და მომავლის დასაკავშირებლად გამოიყენება. ქორეოგრაფის სიტყვებით, „Stepping Stones“ ქორეოგრაფიული კვლევებია და კაცობრიობის მემკვიდრეობაზე მის პირად ხედვას წარმოადგენს.

Stepping Stones was choreographed by Jiří Kylián for the Stuttgart Ballet. This ballet belongs to a line in Kylián's work that reflects a deep fascination with ancient cultures, especially that of the Australian Aborigines and their particular view of existence. For the aborigines, dance is an important link to the passing on of the cultural heritage from one generation to the next; dance is a path connecting the past and the future. These are some of the ideas that Kylián explores in his works, and in the choreographer's own words: "Stepping Stones stands in the line of those choreographic studies that attempt a personal flash vision on a subject as vast as the common heritage of mankind."





# Sechs Tänze

სპექტაკლში გამოყენებულია –
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ექვსი გერმანული ცეკვა;
KV 571
დადგმა პატრიკ დელკრუასი
სცენოგრაფია და კოსტიუმები ირჟი კილიანის
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე
მხატვარი-გამნათებელი – იოპ კაბოორტი
პრემიერა შედგა ამსტერდამში 1986 წლის 24 ოქტომბერს
ნიდერლანდების ცეკვის თეატრში
პრემიერა თბილისში გაიმართა 2008 წლის 18 ოქტომბერს

Music by Wolfgang Amadeus Mozart: Sechs Deutsche Tänze, KV 571
Staging by Patrick Delcroix
Scenery and costumes by Jiří Kylián
Lighting design by Joop Caboort
Premiere at the Nederlands Dans Theater - 24 October 1986, Amsterdam
Tbilisi premiere October 18, 2008

„ორი საუკუნე გვაშორებს იმ დროს, როცა მოცარტმა „გერმანული ცეკვები“ დაწერა. ეს იყო ომების, რევოლუციებისა და სოცალური ცვლილებების ხანა. ამიტომაც შეუძლებელია დიდი კომპოზიტორის სულიერი განწყობის უბრალოდ სხვადასხვა ხასიათის ცეკვებით გადმოცემა. ამის ნაცვლად ჩვენ შევქმენით ექვსი ცეკვა, სადაც გარემო პირობები უგულვებელყოფილია. ამ ცეკვებს მუდმივად ცვალებადი გარემო ჩრდილავს, რომელიც, ამოუცნობ მიზეზთა გამო, ჩვენი სულის ნაწილია. მოცარტის „Sechs Tänze"–ს სანახაობითი მხარე საზოგადოებაში დიდი პოპურარობით სარგებლობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ცეკვებში მხოლოდ პაროდია არ უნდა დავინახოთ. მასში გადმოცემულ განწყობას სხვა ფასეულობათაკენ მივყავართ. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ მოცარტი ცდილობდა გამიჯნოდა პირად გრძნობებს და დამდგარიყო ყოფიერებაზე მაღლა. ამის შესანიშნავი მაგალითია კომპოზიტორის წერილი, რომელიც მან თავის ბიძაშვილს გაუგზავნა.“

ირჟი კილიანი

Two centuries separate us from the time when Mozart wrote his German Dances. A historical period shaped considerably by wars, revolutions, and all sorts of social upheavals. With this in mind I found it impossible to simply create different dance numbers reflecting merely the humor and musical brilliance of the composer. Instead, I have set six seemingly non-sensical acts, which obviously ignore their surroundings. They are dwarfed in face of the ever present troubled world, which most of us for some unspecified reason carry in our souls. Although the entertaining quality of Mozart's Sechs Tänze enjoys great general popularity, it shouldn't only be regarded as a burlesqué. Its humor ought to serve as a vehicle to point towards our relative values. Mozart's ability to react upon difficult circumstances with a self-preserving outburst of nonsensical poetry is well known. A fragment of a letter to his cousin is the finest example of this.

Jiří Kylián





# Falling Angels

კომპოზიტორი – სტივ რიქი ( რუმმინგ / ნაწილი I (1970/71)
დადგმა – ნენსი ეუვერინკისა და ბრიჯიტ მარტინის
კოსტიუმების მხატვარი – ჯოუკ ვისერი
განათების მხატვარი – იოოპ კაბოორტი, განათების
ადაპტაცია ქეეს თიებესი
პრემიერა შედგა 1989წლის 23 ნოემბერს (ცეკვის თეატრი AT&T, დენ ჰააგი)
პრემიერა თბილისში გაიმართა 2009 წლის 20 ნოემბერს

Music by Steve Reich: Drumming / part I (1970/71)
Staging by Nancy Euverink, Brigitte Martin
Costume design by Joke Visser
Light design by Joop Caboort
Light adaptation by Kees Tjebbes
World premiere: 23 November 1989, AT&T Danstheater, Den Haag
Tbilisi premiere: 20 November 2009

მუსიკა სრულდება დასარტყამ ინსტრუმენტებზე. ირჟი კილიანისათვის სტივ რიქის კომპოზიციის მომხიბვლელობა მის რითმულ სტრუქტურაშია საძიებელი - განსაკუთრებით იმ სტილისტურ მექანიზმში, რომელსაც ფრაზირება ჰქვია. მართალია, კილიანი მუსიკას ქორეოგრაფიის ძირითად წყაროდ თვლის (რაც ნიშნავს, რომ ის ნაშრომს არსებულ მუსიკალურ სტრუქტურაზე დგამს), „Drumming"-ის შემთხვევაში მან იგრძნო, რომ პრიორიტეტი ცეკვისათვის უნდა მიენიჭებინა. შედეგი რვა ბალერინას ამაღელვებელი ცეკვაა. „Falling Angels" – ეს არის ნაშრომი ჩვენს პროფესიაზე"– ამბობს 1989 წელს დადგმულ ბალეტზე თავად ქორეოგრაფი.

Music is performed on percussion instruments. For Jiří Kylián, the fascinating aspect of Reich's composition lies in its rhythmical structure - especially in the stylistic device called phasing. It creates a floating underground where the choreography is free to develop independently. Whereas Kylián customarily considers music as the primary source for his choreographies - meaning that he sets his work on a (existing) musical structure - with Drumming he felt challenged to give unabridged priority to the dance. The result became an exciting and head-on flight of eight female dancers: Falling Angels - 'a piece about our profession' as the choreographer likes to comment on it.







Photos/ფოტოები: © Lado Vachnadze / ლადო ვაჩნაძე

25 სექტემბერი
სპექტაკლები
“FALLING ANGELS”/”SECHS TÄNZE”/”STEPPING STONES“
მდებარეობა: გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)
ბილეთის ფასი: 10, 15, 20, 25 ლარი
დასაწყისი: 20:00

25th September
Performances
“FALLING ANGELS”/“SECHS TÄNZE”/“STEPPING STONES”
Venue: ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE (Big Stage)
Ticket Prices: 10, 15, 20, 25 GEL
Beginning At: 20:00

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს 160 წლის ისტორია აქვს. კავკასიაში პირველი საოპერო თეატრი 1851 წლის 12 აპრილს გაიხსნა. ახალგახსნილი ოპერის თეატრის მეორე სეზონზე კი პეტერბურგიდან საბალეტო დასი მოიწვიეს, რომელმაც 5 ოქტომბერს ტალიონის ბალეტ „სილფიდას" მეორე მოქმედება და „პოლკა-ვენგერკა" წარმოადგინა. ეს გახლდათ პირველი საბალეტო წარმოდგენა თბილისში. პირველი მთლიანი საბალეტო სპექტაკლი კი მანოხინმა 1854 წლის იანვარში დადგა – ფ. ტალიონის სამმოქმედებიანი ბალეტი „გიტანა - ესპანელი ბოშა". XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თბილისში სპექტაკლებს მართავდა პეტერბურგის საიმპერატორო საბალეტო თეატრი, რომლის დასში ცეკვავდნენ – სოფია ფიოდოროვა, აისედორა დუნკანი, ვერა და მიხეილ ფოკინები. მიხეილ ფოკინი თბილისში თავის პირველ ნოვატორულ ბალეტებს დგამდა, რომლებმაც შემდეგ პარიზში, დიაგილევის „რუსულ სეზონებზე" აღიარება მოუტანა.
თბილისში შედგა იტალიელი მოცეკვავის, ენრიკო ჩეკეტის მოსწავლის – მარია პერინის საზღვარგარეთული დებიუტი. მან ქართველ მაყურებელს პირველად აჩვენა 32 ფუეტე. 1897-1907 წლებში თბილისის საოპერო თეატრში გამოდიოდა პერინი. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული საბალეტო სკოლის დაარსება. თბილისში მან გახსნა კლასიკური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული სტუდია. მ. პერინი საქართველოში 48 წელი ცხოვრობდა. იტალიაში დაბრუნებამდე, 1936 წელს, იგი დაესწრო თავისი აღზრდილის, ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი პირველი ქართული ბალეტის – „მზეჭაბუკის" (შემდეგში „მთების გული") პრემიერას და დარწმუნდა, რომ მის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

1929-41 წლებში ვახტანგ ჭაბუკიანი ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის (მარიას) თეატრში კლასიკური რეპერტუარის ყველა წამყვან პარტიას ასრულებდა. 1941 წელს იგი თბილისში დაბრუნდა და 1973 წლამდე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს მას პარტნიორობას უწევდნენ: გ. ულანოვა, მ. პლისეცკაია, რ. სტრუჩკოვა, მ. სემიონოვა, ა. შელესტი, ნ. დუდინსკაია. თბილისის სცენაზე კი მისი უცვლელი პარტნიორი გახლდათ ლეგენდარული ვერა წიგნაძე.
1970-იანი წლების დასაწყისში თეატრის საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა გიორგი ალექსიძე, ფეოდორ ლოპუხოვის მოსწავლე. ალექსიძემ თეატრში სულ სხვა ესთეტიკა მოიტანა. კლასიკური რეპერტუარის გარდა თეატრში იდგმებოდა ნეოკლასიკური ბალეტი. 1982-85 წლებში საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა მიხეილ ლავროვსკი, დიდი თეატრის ცნობილი მოცეკვავე და ქორეოგრაფი. მან საკმაოდ საინტერესო საბალეტო წარმოდგენები დადგა – პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტას" საკუთარი ვერსია და გერშვინის „პორგი და ბესი."
2004 წლიდან საბალეტო დასს ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს. ექვსი სეზონის განმავლობაში დაიდგა ოცდაათი ბალეტი და საბალეტო მინიატურა, მთლიანად შეიცვალა რეპერტუარი, რომელშიც კლასიკური სპექტაკლების გვერდით სხვადასხვა ქორეოგრაფიული სტილისა და მიმართულების წარმოდგენები დაიდგა. დასის რეპერტუარშია ბალანჩინის, ეშტონის, ბურნონვილის, კილიანის, აგრეთვე, თანამედროვე ქორეოგრაფების - ა. რატმანსკის, თ. მაკინტაერის, ს.უელშის, ი. პოსოხოვის თანამედროვე საბალეტო წარმოდგენები. აღდგა ჭაბუკიანის „ლაურენსია". საბალეტო დასთან თანამშრომლობენ ცნობილი ქორეოგრაფები და ბალეტმაისტერები: მ. ლავროვსკი, ფ. ანდერსენი, ა. გრანტი, ბ. კუკი, დ. ბონერი, მ. ბარბიერი, თ. მაკინტაერი, ა. ფადეეჩევი, ი. პოსოხოვი, ბ. სტივენსონი, ნ. ეუვერინკი, კ. ოსოლა, პ. დელკრუა, ბ. მარტინი; საბალეტო სპექტაკლებისათვის დეკორაციებსა და კოსტიუმებს ქმნიან: ალექსანდრე ვასილიევი, ვიაჩესლავ ოკუნევი, დავით მონავარდისაშვილი; თბილისში სპექტაკლებს ხშირად დირიჟორობენ სერგეი სტადლერი, ალექსანდრე სოტნიკოვი, რობერტ კოული. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან გამოდიან ანხელ კორელა, ანდრეი უვაროვი, სერგეი ფილინი, იგორ ზელენსკი, ირმა ნიორაძე, თამარა როჰო, დავით მახათელი, ელენე გლურჯიძე და სხვები.

The history of Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre spans over 160 years. The theatre opened on 12 April 1851, and for the second season in 1852 St. Petersburg Ballet Company (featuring F. Manokhin, E. Panov) arrived in Tbilisi; They presented the second act of F. Taglioni's ballet La Sylphide and Polka-Vengerka. This was the first ballet performance in Tbilisi. One year later Manokhin staged the second act of Giselle, And the first full ballet performance took place in 1854 when Manokhin again mounted Taglioni's three-act ballet Gitana the Spanish Gypsy. Unfortunately, due to lack of finances, he returned to the Bolshoi Theatre in the Summer of 1854. In the 80s and 90s of the XIX century Tbilisi saw performances by St. Petersburg Emperor Ballet Theatre, which featured Sofia Fedorova, Isadora Duncan, Vera and Mikhail Fokin. Here in Tbilisi Mikhail Fokin staged his first innovatory ballets that then brought him the recognition in Paris, on the Diaghilev Seasons.
The stage of Tbilisi Opera Theatre was the venue for the foreign debut of Maria Perini, pupil of Italian dancer Enrico Cecchetti. She was the dancer who demonstrated the 32 fouette to the Georgian audience for the first time. During 1897-1907 she performed at the Tbilisi Opera Theatre. The creation of the Georgian ballet school is associated with her name; she founded the first choreographic studio for classical dances. Perini lived in Georgia for 48 years. Before returning to Italy in 1936, she attended the first Georgian ballet, staged by her pupil Vakhtang Chabukiani and it became clear to her that her work had not gone in vain.
Mzechabuki (Heart of the Mountains in the following stagings) by Andria Balanchivadze is the first Georgian ballet and was staged by Vakhtang Chabukiani at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. From 1929-1941 he worked at the Kirov Opera And Ballet (Mariinsky) Theatre, performing all leading roles from the classical repertoire. Chabukiani returned to Tbilisi in 1941 and managed the Opera and Ballet State Theatre Ballet Company until 1973. His partners at various times were Galina Ulanova, Maia Plisetskaya, Raisa Struchkova, Marina Semyonova, Alla Shelest, Natalia Dudinskaya. On the Tbilisi stage he was continuously partnered by the legendary Vera Tsignadze.
In the beginning of the 70s the ballet company had a new artistic director – George Aleksidze, Fyodor Lopukhov's pupil. Aleksidze brought new aesthetics to the theatre - neoclassical ballets became the part of repertory alongside classical works. The company's next artistic director through 1982-1985 was Mikhail Lavrovsky, the internationally known Bolshoi Theatre dancer and choreographer. Under his short directorship several interesting ballets were staged – his own version of Prokofiev's Romeo and Juliet and Gershvin's Porgy and Bess. Since 2004, Nina Ananiashvili has been artistic director of the State Ballet of Georgia. Thirty ballets and miniatures have been staged in six seasons and the repertory has been completely changed, with various choreographic styles and trends introduced alongside the classics. The repertory now includes ballets by Balanchine, Ashton, Bournonville, Kylián, as well as contemporary choreographers like Alexei Ratmansky, T. McIntyre, S. Welch, Y. Possokhov. Laurencia by Chabukiani has been reconstructed. Well known choreographers and ballet masters like Mikhail Lavrovsky, Frank Andersen, Alexander Grant, Bart Cook, Denis Bonner, Margaret Barbieri, Trey McIntyre, Alexei Fadeyechev, Yuri Possokhov, Ben Stevenson, Nancy Euverink, Ken Ossola, Patrick Delcroix, Brigitte Martin work with the company; costumes and scenery are prepared by Alexandre Vassiliev, Vyacheslav Okunev, David Monavardisashvili; performances in Tbilisi are often conducted by Sergei Stadler, Alexander Sotnikov, Robert Cole; artists who perform alongside the State Ballet of Georgia include Angel Corella, Andrei Uvarov, Sergei Filin, Igor Zelensky, Irma Nioradze, Tamara Rojo, David Makhateli, Elena Glurdjidze.


gurieli
export

NEW

კომპანია RANAN, ინდოეთი
Ranan, INDIA





# გზაჯვარედინზე - ლედი მაკბეტის რამდენიმე სახე

# Crossings: exploring the facets of Lady Macbeth

რეჟისორი – ვიკრამ აიენგარი
კომპოზიტორი – ნაგინ ტანვირი
დეკორაციისა და კოსტუმების მხატვარი – ვიკრამ აიენგარი
მხატვარი-გამნათებალი – სუდიპ სანიელი
ქორეოგრაფი – ვიკრამ აიენგარი
ფოტოგრაფი – მაჰიშ რაუტი

მონაწილეობენ:
ანუბჰა ფიტეფურია, დანა როი დიბაშრი ბატაჩარია, ჯოიტი ჩაკრიბოტი

Directed by Vikram Iyengar
Music By Nageen Tanvir
Stage and Costumes Designer -Vikram Iyengar
Lighting Designer - Sudip Sanyal
Choreographer - Vikram Iyengar
Photographer - Mahesh Raut

Cast:
Anubha Fatehpuria, Dana Roy, Debashree Bhattacharya, Jayati Chakraborty

www.rananindia.com





## სპეტქკლის შესახებ:

„გზაჯვარედინზე “ ვიკრამ აიენგარის ახალგაზრდული ნაციონალური დასის (National JuniorFellowship ) პირველი პროექტია. წარმოდგენას დიდი გამოხმაურება ჰქონდა. არსებობს დადგმის სხვადასხვა ვერსია. 2006 წელს ‘‘Mahindra Excellence in Theatre Awards’’-ის პირველ დაჯილდოებაზე სპექტაკლმა ოთხ ნომინაციაში გაიმარჯვა (რეჟისურა, მუსიკა, საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი და კოსტიუმების დიზაინი). წარმოდგენაში უხვადაა გამოყენებული ინდური ცეკვები, კლასიკური და ფოლკლორული მუსიკა.
სპექტაკლში მოქმედება შექსპირის პიესის სიუჟეტის მიხედვით ვითარდება. მაკბეტი შეატყობინებს ცოლ სამ კუდიანთან შეხვედრის ამბავს. ლედი მაკბეტი გადაწყვეტს მოკლას მათთან სტუმრად მყოფი მეფე და ქმარს ტახტისაკენ გზა გაუთავისუფლოს.
მიმდინარეობს შინაგანი ბრძოლა მის ნაზ ქალურ ბუნებასა და ძლაუფლების სურვილს შორის. საბოლოოდ, მაინც ახორციელებს საზარელ გეგმას და კლავს მეფეს. მაგრამ სისხლიანი მოჩვენებები მოსვენებას არ აძლევენ და ლედი მაკბეტი სიცოცხლეს მტანჯველი სიკვდილით ასრულებს.

ინდური მითოლოგიის პერსონაჟებთან პუტანასთან და შაქტისთან პარალელების გავლებით, სპექტაკლი გვიჩვენებს თუ რას ნიშნავს იყო ქალური ან არაქალური ამ რთული პერსონაჟის წინაღმდეგობრივი ხასიათის ფონზე. ოთხი შემსრულებელი, მოცეკვავეები და მსახიობები, ლედი მაკბეტის სახეს მუდმივ კონფლიქტში წარმოადგენენ, რათა შექმნან ოთხ ნაწილად დაყოფილი წარმოდგენა. ეს ოთხი ნაწილია: შექსპირის პიესიდან გადმოტანილი ტექსტი, ცეკვით თხრობა, ცოცხალი მუსიკალური ნომერი, რომელიც შედგება როგორც სიტყვებისგან ასევე მოძრაობისგან და სიმბოლიზმი, რომლითაც სავსეა ინდური კლასიკური ცეკვა.

## About Performance:

Crossings was the first project under Vikram Iyengar's National Junior Fellowship from the Sangeet Natak Akademi, Government of India, and received an unprecedented response. The production has grown through several versions, winning four awards (Direction, Music, Supporting Actress, Costume Design) at the first Mahindra Excellence in Theatre Awards in 2006. Crossings brings together elements of Indian classical dance, movement, the original text, Hindustani classical, folk and tribal music in a piece that is as much directed as constantly improvised in performance.

The production mirrors the journey of Lady Macbeth through Shakespeare's original play. She receives a letter from Macbeth telling her of his encounter with three witches who foretell that he will be King. This plants the idea of killing King Duncan – their guest – in Lady Macbeth's mind to further her husband's ambition. Battling her own conscience and femininity, she plans and executes a gruesome murder. But she is consequently haunted by images of blood even as she plays gracious hostess at a coronation banquet where the guests become more and more suspicious of the truth. Bereft of support and company from her equally guilt-ridden husband, her world crumbles towards a lingering death.

With references to figures from Indian mythology such as Putana and Shakti, Crossings examines what it means to be feminine or de-feminised through the contradictions within this complex character. Four performers – dancers and actresses – represent facets of Lady Macbeth in constant conflict to create a fluid performance woven from four strands – a verbal text constructed from the dialogue of the original play, a movement text drawing from dance, an original and live musical text created in response to both words and movement, and a symbolic text crafted from the imagery in Macbeth and the symbolism which imbues Indian classical dance.





## თეატრის შესახებ:

რანანი ახალგაზრდა საშემსრულებლო დასია, იგი აღმოჩენათა სამყაროში მოგზაურობს, რომელიც აღსავსეა მხიარულებით, ცოცხალი წარმოდგენის შთაგონებული და შთამაგონებელი ელემენტებით.
რანანი ინდური კლასიკური ცეკვის განმარტების და პოპულარიზაციისთვის შეიქმნა. ეს შეხედულება გადაიზარდა რწმენაში. საშემსრულებლო ხელოვნება იმ ადამიანების ცხოვრების აუცილებელი ნაწილია, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ.

„ჩვენი მიზანია მოვიძიოთ და შევქმნათ ხატოვანი, პრაქტიკული და ხელმისაწვდომი გზები ხელოვნების, მსახიობების და მაყურებლის დასაახლოვებლად“.

## გზაჯვარედინზე

თეატრით დაინტერესებული მოცეკვავე ვიკრამ აიენგარისთვის „გზაჯვარედინები“ პირველი პროექტი იყო, რომელიც კლასიკური ცეკვის და დრამის ურთიერთობას იკვლევს. ეს უზადო და გამომწვევი საშემსრულებლო ენის შექმნის მცდელობაა.



## About Theatre:
## PROFILE

Ranan is a young performance company on an exciting journey of discovery—a journey powered with the electric joy, the fascinating ephemerality, the inspired and inspiring moments of live performance.

Ranan grew out of an immediate felt need to demystify Indian classical dance and make it accessible and enjoyable for larger audiences. The vision has grown into a conviction that performing arts should be an indispensable part of life both for those who practice it and those who partake of it. We aim to explore and forge imaginative, practical and accessible ways of bringing art, artists and audiences closer together so that the arts themselves can thrive and evolve by involving more and more people.

Our work experiments extensively with bringing Kathak in touch with other forms of artistic expression such as elements of design, film, genres of music, non-traditional poetry and the language of drama. With a thoughtful approach to performance, inventive visual staging, vibrant productions, and experimental but rooted creative processes, Ranan's variety of work—traditional Kathak, choreography, dance-theatre; workshops, seminars, lec-dems, interaction sessions, collaborations; experimentations with film and live dance—has earned the company a reputation for quality, innovation and refreshing energy.

Supported and partnered by a range of public and private organisations from India and abroad, Ranan hopes to grow into a nodal and nurturing point for the performing arts in India.

## PEOPLE

Ranan repertory members and associates comprises a varied group of trained Kathak dancers, actors, production personnel, musicians and designers. Each performance project brings together different impulses from text, music, movement and design making each creative process and production a unique, collaborative and evolving journey.

## CROSSINGS

As a dancer deeply interested in theatre, Crossings was the first of Vikram Iyengar's projects exploring the meeting of classical dance and text-based drama, in an attempt to create a seamless and evocative performance language.

Why Shakespeare? Poetry, lyricism, allegory, metaphor, repetition, imagery, rhythm, representation, symbolism all imbue both Shakespeare and classical dance. Both genres use strong and sensual images whether through a well-tuned phrase or a well-tuned movement.

"Lady Macbeth is arguably Shakespeare's most complex and layered female character. She has fascinated me ever since I studied Macbeth in school. She resurfaced a decade later when I watched a Schezuan Opera actress in a riveting solo rendition of the character. I asked, could one interpret Lady Macbeth through Indian classical dance? A mistaken notion is that classical dance must be beautiful: no, it must be beautifully performed. There is a great difference between prettiness and beauty. Dance—and indeed all performance—deals with the latter, not the former.

I chose performers who I felt would be able to contribute to this exploratory and collaborative project—dancers, musicians, actresses. We embarked on this remarkable journey in December 2003, with text, music, movement and design responding to each another in a myriad different ways, encountering parallels in Indian mythology and iconography, finding fresh possibilities in rendering both text and dance. The performance as it stands today has been distilled through several versions and several casts since the first workshop production in April 2004, and presents Lady Macbeth in all her magnificent complexity."

რატომ შექსპირი? პოეზია, ლირიკა, ალეგორია, მეტაფორა, წარმოსახვა, რითმა, გამოხატვა, სიმბოლიზმი - ამ ყველაფრით სავსეა როგორც შექსპირი, ასევე კლასიკური ცეკვა. ორივე ჟანრი იყენებს ძლიერ და მგრძნობიარე გამოსახულებებს, კარგად მორგებული ფრაზის თუ მოძრაობის მეშვეობით.

„ლედი მაკბეტი უდავოდ შექსპირის ყველაზე რთული და ცვალებადი ქალი პერსონაჟია.

ჯერ კიდევ ბავშვობაში, როდესაც სკოლაში „მაკბეტს“ ვსწავლობდი, მომხიბლა ამ ქალმა. ათეული წლის შემდეგ, სიშუანის ოპერის მსახიობის ყურებისას, რომელიც ლედი მაკბეტის საინტერესო სოლოს ასრულებდა, ვიფიქრე, იქნებ შესაძლებელია ლედი მაკბეტის ინტერპრეტაციის გაკეთება ინდური კლასიკური ცეკვით? მცდარი აზრია, რომ კლასიკური ცეკვა ლამაზი უნდა იყოს: არა, ის ლამაზად უნდა იყოს წარმოდგენილი. დიდი განსხვავებაა მომხიბვლელობასა და სილამაზეს შორის. ცეკვა, და რა თქმა უნდა, ნებისმიერი წარმოდგენა, უკავშირდება მეორეს და არა პირველს.

მე ავირჩიე ის მოცეკვავეები, მუსიკოსები და მსახიობები, რომლებიც, ჩემი აზრით, შეძლებდნენ ამ კვლევით საერთო პროექტს დახმარებოდნენ. ამ საუცხოო მოგზაურობას 2003 წლის დეკემბერში შევუდექით. გამოვიყენეთ ისეთი ტექსტი, მუსიკა, მოძრაობა და დიზაინი, რომლებიც შეესაბამებოდნენ ერთმანეთს უამრავი სხვადასხვა გზით; პარალელები გავავლეთ ინდურ მითოლოგიასთან და ხატწერასთან, თხრობის და ცეკვის გადმოცემისთვის ახალ შესაძლებლობებს ვეძებდით. პიესა, 2004 წლის აპრილის პრემიერის შემდეგ რამოდენიმე ვერსიად გადაკეთდა, შეიცვალა მონაწილეები, დღევანდელი ვერსია ლედი მაკბეტს თავის ყველა საუცხოო სირთულეებით წარმოადგენს.“

ვიკრამ აიენგარი





Photos/ფოტოები: © Mahesh Raut მაჰიშ რაუტი



26 სექტემბერი
სპექტაკლი “გზაჯვარედინზე - ლედი მაკბეტის რამდენიმე სახე“ (პროგრამა NEW)
მდებარეობა: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მცირე სცენა)
ბილეთის ფასი: 20 ლარი
დასაწყისი: 20:00
ხანგრძლივობა: 75 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

26th September
Performance “CROSSINGS: EXPLORING THE FACETS OF LADY MACBETH”(PROGRAM “NEW”)
Venue: KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (Small Stage)
Ticket Price: 20 GEL
Beginning At: 20:00
Duration: 75 minutes
Without Intermission

ირანის თეატრალური ვორქშოფი
Iran Theater Workshop, IRAN





სიამაკ ეჰსაი

# ტერმინალი

Siamak ehsaie

# Terminal

რეჟისორი – სიამაკ ეჰსაი
კომპოზიტორი – ანკიდო დარაში
მხატვარი – სიამაკ ეჰსაი
ფოტოგრაფი – ალი ზარე

მონაწილეობენ:
ფატემეჰ მოტამედ არია, შაბნამ მოგადმი, პანტეა პანაჰიჰა

Directed by Siamak ehsaie
Music by Ankido darash
Designer Siamak ehsaie
Photographer Ali zare

Cast:
Fatemeh motamed arya, shabnam moghadami, pantea panahiha

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო
კულტურის სამსახური





## სპეტქკლის შესახებ:

სამი ქალი ტერმინალის საზოგადოებრივი ტუალეტის მსგავს ადგილას ცხოვრობს. სამივე პერსონაჟი თითქოს ერთი ქალის სხვადასხვა სახეა. ისინი მსჯელობენ, თავიანთი ცხოვრების ეტაპებს განიხილავენ. მოგვიანებით ვიგებთ, რომ მათ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე და ახლა გამოსავალს ეძებენ, მაგრამ გამოსავალი არ არსებობს!

## თეატრის შესახებ:

Iran theater workshop დაარსდა იმ იმედით, რომ გაეფართოებინა ექსპერიმენტული თეატრის საზღვრები და დახმარებოდა ავტორებს, რეჟისორებს და მსახიობებს ამ სფეროში გამოცდილების შეძენაში. თავდაპირველად ორი თეატრალური დასის, „ბაზის“ და „საიეს“ შეკრების ადგილად გადაიქცა. უახლოეს მომავალში კი იმედოვნებს, რომ გახდება ადგილი, სადაც ექსპერიმენტული თეატრით დაინტერესებული ყველა ხელოვანი შეძლებს მუშაობას.

## About performance:

Three women, who seem to be three different sides of one woman, are living in a place similar to a public toilet of a terminal and review different parts of their own lives. As it goes on we relive that they have committed suicide and are waiting for a way out of this awkward situation. But there is no way out!

## About theatre:

Iran theater workshop has been established, hoping to expand the experimental theater and accompany authors, directors and actors to gain experiences in this field. As its first step it has become the gathering place for the tow theater companies, bazi and sayeh. In the very near future, iran theater workshop hops to be a place where all artists with an obsession about the experimental theater, can collaborate.

Photos/ფოტოები: ©Ali zare / ალი ზარე

26 - 27 სექტემბერი
სპექტაკლი „ტერმინალი“ (პროგრამა NEW)
მდებარეობა: **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი** (დიდი სცენა)
ბილეთის ფასი: 10, 15, 20 ლარი
დასაწყისი: 20:00
ხანგრძლივობა: 60 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

26th - 27th September
Performance "TERMINAL" (PROGRAM "NEW")
Venue: KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (Big Stage)
Ticket Prices: 10, 15, 20 GEL
Beginning At: 20:00
Duration: 60 minutes
Without Intermission





Sungsoo Ahn Pick-up ჯგუფი, კორეა
Sungsoo Ahn Pick-up Group, Korea

# ვარდი (წმინდა გაზაფხული) Body კონცერტი

# Rose (The Rite of Spring) Body Concerto





# ვარდი (წმინდა გაზაფხული)

# Rose (The Rite of Spring)

რეჟისორი და ქორეოგრაფი – სიუნსგსუ ანი
წარმოდგენაში გამოყენებულია იგორ სტრავისკის მუსიკა
ფოტოგრაფი – დოი ლი

მონაწილეობენ:
ჯუი ლი, სუინ პარკი, სოიუნგ ჩოი, ბორამ კიმი,
კუნგმინ ჯანგი.

Director and choreographer Sungsoo AHN
Igor Stravinsky's music is used in the performance
Photographer Dohee LEE

Cast:
Juhee LEE, Sooin PARK, Soyoung CHOI,
Boram KIM, Kungmin JANG

## სპექტაკლის შესახებ:

პექტაკლი „ვარდი" ტომის რიტუალურ ცეკვაზე დაფუძნებული სანახაობაა.

ყოველ ზაფხულს ტომის წევრები მიწის თაყვანისცემის ნიშნად რიტუალურ ცეკვას ასრულებენ. ტრადიციისამებრ, ეს ახალგაზრდა ქალების ცეკვაა, ამ დროს უნდა აირჩეს ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც დედამიწას მსხვერპლად შესწირავენ. მაგრამ ამ წელს მამაკაცები მოისურვებენ შეუერთდნენ საიდუმლო რიტუალს. ტომის უხუცესი წინაპართა სულებს იძახებს და მათგან იღებს ნებართვას. მამაკაცები ასრულებენ ცეკვას და საბოლოოდ, მიწას მსხვერპლად კაცებს შესწირავენ. ტომი ხვდება, რომ კაცების მსხვერპლად შეწირვის შემდეგ დედამიწა უფრო უხვმოსავლიანია.

თეატრისათვის ეს წარმოდგენა არა მხოლოდ ქორეოგრაფიის მოდერნიზაციის, არამედ მანამდე არარსებული იდეების შემოტანის მცდელობაც იყო. დასმა აიყვანა მამაკაცი ჰიპ-ჰოპის მოცეკვავეები, რათა თვალნათლივ ეჩვენებინა მამაკაცური ძალის ხიბლი.

## About Performance:

"Rose (The Rite of Spring)" touches upon the idea of women participating in a circular-dance to sort out a chosen one to worship the earth, but tweaks this classical portrayal of sacrificing women to sacrificing men instead. It was not only an attempt to modernize the choreography but to bring non-existing ideas to develop new culture through this unusual approach to the piece. The company "picked-up" male hip-hop dancers to show masculinity and the power men can express.

## Synopsis

Every Spring the tribe dances to worship the earth and young women participate in a circular-dance to sort out the chosen one. However, this year the men want to join the mysterious ritual normally confined to only the young women. During the calling ritual of the ancestors' spirits, the tribal elder receives a divine revelation granting men the right to join the ritual tribal dances. In the end, men are sacrificed as chosen ones. The tribe realizes that the Earth is opulent and harmonious with the sacrifice of the men.





# Body Concerto

რეჟისორი და ქორეოგრაფი – სანგზუ ანი
მუსიკალური გაფორმება კანგმინ ჯანგის

სპექტაკლში გამოყენებულია – მუსიკა ფლმიდან „შეუს-რულებელი მისია“ „Take Five“; კვარტეტი ფორტეპიანოს, ვიოლინოს და ვიოლონჩელისათვის, შუმანის ანდანტე კანტაბილე („Andante cantabile“); კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, ბარბერის „პრესტო ინ მოტო,“; „იმღერე, იმღერე, იმღერე“

მონაწილეობენ:
ჯუი ლი, სოენ პარკი, სუიუნგ ჩოი,
ბორამ კიმი, კუნგმინ ჯანგი, შანშან ლიუ

Director and choreographer Sungsoo AHN
Music arranged by Kungmin JANG
(Mission Impossible Soundtrack, 'Take Five'; Quartet for piano, violin, and violoncello in E flat major Op.47, Andante cantabile by Schumann; Concerto for violin and orchestra Op.14, presto in moto by Barber ; 'Sing Sing Sing')

Cast:
Juhee LEE, Sooin PARK, Soyoung CHOI,
Boram KIM, Kungmin JANG, Shanshan LIU

## სპექტაკლის შესახებ:

Body Concerto 2010 წლის სეულის თეატრალური ხელოვნების ფესტივალისა (Performing Arts Festival) და სანგზუ ან Pick-up ჯგუფის ერთობლივი წარმოდგენაა. პრემიერა 2010 წლის 21 ოქტომბერს სეულის ხელოვნების ცენტრის ტოვოლოს თეატრში გაიმართა. Body Concerto შვიდ პატარა ნაწარმოებზე დაფუძნებული სხვადასხვა ხასიათის ცეკვაა. ქორეოგრაფი სანგზუ ანი თავის ემოციურ მდგომარეობასა და 2010 წელში მომხდარ კონკრეტულ ფაქტებს გადმოგვცემს. ჩამონათვალში შედის რამდენიმე ფილმიც. ეს წარმოდგენაც სწორედ იმ მოვლენებს ეძღვნება, რომლებზედაც ეს ფილმები და გადაცემები იყო დაფუძნებული. სანგზუ ანის ჯგუფი მოცეკვავეებისგან შედგება. მათ განსხვავებული სტილი აქვთ, რომელიც ძველი ტრადიციული კორეული ცეკვის, თანამედროვე ელემენტების, ჩინური ტრადიციული ცეკვისა და პოპ მომღერლებისთვის დადგმული ცეკვების ნაზავია.
მოცეკვავეები გარეგნულადაც მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ზოგი დაბალია, ზოგი მაღალი (153 – 185 სანტიმეტრი). Sungsuu

## About Performance:

"Body Concerto" was coproduced by the 2010 Seoul Performing Arts Festival and the Sungsoo Ahn Pick-up Group (APG). It premiered on October 21, 2010 at the Towol Theater in the Seoul Arts Center. "Body Concerto" is an omnibus-styled dance work consisting of seven short pieces. The choreographer, Sungsoo Ahn, based these dances on his emotional connection with certain public broadcastings and movies produced in the year 2010. He devised these dances as a tribute and appreciation to people and events associated with these broadcastings and movies.
The core of all Sungsoo Ahn's works are the dancers. The dancers have diverse dance training and professional backgrounds ranging from Korean traditional dance, modern dance, Chinese traditional dance and back-up dance for pop singers. The dancers also have diverse body attributes, such as heights ranging from 153cm to 183cm. The dancers of the Sungsoo Ahn Pick-up Group perform a well synthesized "Body Concerto" using their diverse but unique and special dance talents.
"Body Concerto" comes from Sungsoo Ahn's so-called "dream diary," much like

ann Pick-up ჯგუფი ასევე წარმოადგენს სინთეზურ Body Concerto-ს და იყენებს უნიკალურ და განსხვავებულ ცეკვის ილეთებს.
Body Concerto სანგზუ ანის ეგრეთ წოდებული ,,ოცნების დღიურის" ერთ-ერთი შედევრია, „ზაფხულის ღამის სიზმართან" ერთად. ეს უკანასკნელი სრულდება მუქ მწვანე საცეკვაო მოედანზე, უნაზესი სინათლის შუქზე. შესანიშნავი ბალერინა იანგ-ძიაელ კიმი ჩნდება სცენაზე. ის წლების განმავლობაში პარიზის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი გახლდათ. იანგ-ძიაელ კიმის გამოჩენამ Body Concerto ჯერ კიდევ პრემიერამდე გახადა ცნობილი. სანგზუ ანი იყენებს ალტერნატიურ ჟანრებსაც, როგორიცაა: ელექტრომუსიკა, ჯაზი, ტელეგადაცემების მუსიკა, კინომუსიკა, (მაგალითად, მელოდია ფილმიდან „შეუსრულებელი მისია"), ასევე ბეთჰოვენის, ბარბერისა და შუმანის დიდებულ ნაწარმოებები. კრიტიკოსები Body Concerto-ს სანგზუ ანის შემოქმედებით შედევრად მიიჩნევენ. ანმა ორიგინალისგან განსხვავებით შექმნა ასევე Body Concerto -ს შედარებით შემოკლებული ვერსია, სადაც ექვსი უძლიერესი მოცეკვავე მონაწილეობს და 2011-2012 წლის სეზონზე უჩვენებს კორეელ და უცხოელ მაყურებელს.

## თეატრის შესახებ:

Sungsoo Ahn Pick-up Group 1991 წელს დააარსა საუნგზუ ანმა, როცა იგი ნიუ-იორკში ჯილიარდის სასწავლებელში სწავლობდა. Sungsoo Ahn Pick-up Group არ გავს სხვა ხელოვნების ჯგუფებს. დასი შედგება სხვადასხვა წარმომავლობის მოცეკვავეებისგან, მათ შორის არიან კორეელი ტრადიციული და პოპ-მომღერლების დამხმარე მოცეკვავეები. ანის საცეკვაო ფილოსოფიის მიზანია გონებისა და სხეულის ბალანსირება თანამედროვე საცეკვაო ტექნიკის მეშვეობით. მისი უნიკალური საცეკვაო ფილოსოფია განასხვავებს მის საცეკვაო დასს ყველა დანარჩენისგან.

his previous work "Midsummer Night's Dream." It makes exquisite use of a jade green color dance floor and splendid lighting, featuring star ballerina Yong-Geol Kim, who worked as a soloist in the Paris Opera Ballet. The appearance of Yong-Geol Kim made "Body Concerto" a much-talked about production even before its premiere. For this dance, Sungsoo Ahn uses alternative genres like electronic, jazz, the official sound track to the T.V. show "Mission Impossible," as well as classical pieces from Beethoven, Barber, and Schumann. Critics call "Body Concerto" the best piece for the general public that Sungsoo Ahn has ever produced. Ahn remade "Body Concerto" from its original design into a shorter, more compact version with six powerfully dashing dancers for national and international tours for the 2011-2012 touring season.

## About Theatre:

Sungsoo Ahn Pick-up Group was founded by Sungsoo Ahn in 1991 during his studies at The Juilliard School in New York City. The Sungsoo Ahn Pick-Up Group is unlike other performing arts groups. Ahn's group consists of dancers from various backgrounds, including Korean traditional dancers and back-up dancers for Korean pop singers. Ahn's dance philosophy aims at balancing mind and body through the integration of ballet and the body-control method of "body neutralization" with modern dance techniques. His unique dance philosophy separates his group of dancers from other, more conventional dancers. Since its start-up in Korea, the Sungsoo Ahn Pick-up Group has released new dance works every year.



Photos/ფოტოები: © Dohee LEE / დოი ლი



3 ოქტომბერი
სპექტაკლები „ვარდი“ (წმინდა გაზაფხული) / ‘‘Body კონცერტი’’ (პროგრამა NEW)
მდებარეობა: **გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი** (დიდი სცენა)
ბილეთის ფასი: 10, 15, 20 ლარი
დასაწყისი: 20:00
ხანგრძლივობა: 70 წუთი
წარმოდგენა ორ მოქმედებად

3rd October
Performances ‘‘Rose’’ (The Rite of spring) / ‘‘Body Concerto’’ (PROGRAM ‘‘NEW’’)
Venue: ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE (Big Stage)
Ticket Prices: 10, 15, 20 GEL
Beginning At: 20:00
Duration: 70 minutes
With One Intermission

NEW

კომპანია KOLEKTIV NAROBOV, სლოვენია
Kolektiv Narobov, SLOVENIA





# ტოკ-ტოკ!

# Tok-tok!

ინსცენირების ავტორები – მაია დეკლევა ლაპაჟნე, ალენკა მარინიში, ტომაშ ლაპაჟნე დეკლევა

რეჟისორი – მაია დეკლევა ლაპაჟნე
მუსიკა ჰანუ რისკუსის (ცოცხალი შესრულებით)
სცენოგრაფია ჟიგა ტესტენის
დეკორაციისა და კოსტიუმების მხატვარი – კატარინა ზალარი
განათების რეჟისორი – ბორუტ კაჟნკო
ფოტოგრაფი – ივან კან მუჟეზინოვიჩი

მონაწილეობენ:
ალენკა მარინიში, ტომაშ ლაპაჟნე დეკლევა

Authors Maja Dekleva Lapajne, Alenka Marinič, T
omaž Lapajne Dekleva
Directed by Maja Dekleva Lapajne
Music by Hannu Risku (live music)
Designer Žiga Testen
Costume and set designer Katarina Zalar
Light designer Borut Cajnko
Photographer Ivian Kan Mujezinović

Cast:
Alenka Marinič, Tomaž Lapajne Dekleva

www.narobov.org

KUD France Prešeren and Cankarjev dom-ის პროდუქცია

## სპექტაკლის შესახებ:

სპექტაკლი გვიამბობს სასიყვარულო ურთიერთობებზე, მისი განვითარების ეტაპებსა და საფეხურები. ეს არის ფიზიკური თეატრის წარმოდგენა კლოუნადის ელემენტებითა და იმპროვიზაციით. წარმოგდენის ორი პერსონაჟი ხან ზედმეტად, ხან კი ნაკლებადაა ერთმანეთზე დამოკიდებული. ეს არის ჯადოსნური, სასაცილო და ამაღელვებელი სპექტაკლი იმაზე თუ როგორები ვართ, როცა მარტონი არა ვართ.

PRODUCTION Of KUD France Prešeren and Cankarjev dom

## About Performance:

Tok-tok! is a piece about a love relationship and all its stages and layers. It plays with the elements of clowning and physical theatre, while the acted element is open to improvisation and contact with the audience.
A performance about two people who sometimes stick to each other too much and at other times too little. A piece that is freakish enough to make you laugh at it without feeling bad and a piece that is usual enough to make you recognize yourself in it.
A magical humorous touching physical performance about how we are when we are not alone.





Photos/ფოტოები: © Ivian Kan Mujezinović / ივან კან მუჟეზინოვიჩი

4 ოქტომბერი
სპექტაკლი "TOK-TOK!" (პროგრამა NEW)
მდებარეობა: **ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ** (მცირე სცენა)
ბილეთის ფასი: 20 ლარი
დასაწყისი: 20:00
ხანგრძლივობა: 60 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

4th October
Performance "TOK-TOK!" (PROGRAM "NEW")
Venue: KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (Small Stage)
Ticket Price: 20 GEL
Beginning At: 20:00
Duration: 60 minutes
Without Intermission




თეატრი მერკური, კოლჩესტერი, დიდი ბრიტანეთი - კოტე მარჯანიშვილის სახელო-
ბის სახელმწიფო დრამატული თეატრი, საქართველო

Mercury Theatre, Colchester (UK) and Kote Marjanishvili State Drama Theatre (Georgia)

Joint Project Tetrediinfinitum, Great Britain

# კაპიტან კორელის მანდოლინა

# Captain Correll's Mandolin





სცენური ვერსია ლუი ბერნიესა და  მაიკ მარანის

რეჟისორი – ლევან წულაძე
თოჯინები  ნინო ნამიჭეიშვილის
კომპოზიტორი –  ვახტანგ კახიძე

„სიყვარული ნებისმიერ ბრიყვსაც ეწვევა, სიყვარული მაშინაც არ გტოვებს, როცა უკვე აღარ გიყვარს“.

ეს სიცილითა და ცრემლებით მოთხრობილი არაჩვეულებრივი ამბავია სიცოცხლესა და სიკვდილზე, ყავაზე და თხებზე.

1941 წელია. ომმა კეფალონიის ულამაზეს კუნძულსაც მიაღწია, მუსოლინის ჯარმა კუნძული დაიპყრო. ირგვლივ არეულობაა და სწორედ ამ ქაოსში იბადება სიყვარული.

ბერძენი პელაგია დანიშნულია, მაგრამ ახალგაზრდა ქალის ცხოვრება თავდაყირა დგება, მას იტალიელი კაპიტანი კორელი შეუყვარდება. არაჩვეულებრივი მუსიკით, სიცოცხლისა და მთელი სამყაროს სიყვარულით დაატყვევებს კორელი პელაგიას გულს.

თონი ქეისმენტი, როგერ დელვე-ბროუტონი და გას გალაჰერი მერკურის მსახიობები არიან. ისინი ნატუკა კახიძესთან, მაიკ მარანთან და 9 მეთოჯინსთან ერთად ლუი ბერნიეს ამ არაჩვეუულებრივი ისტორიას წრამოგიდგენენ.

Director Levan Tsuladze
Puppets by Nino Namicheishvili
Music by Vakhtang Kakhidze

"ANY FOOL CAN FALL IN LOVE. LOVE IS WHAT IS LEFT AFTER FALLING IN LOVE HAS FALLEN AWAY."
CAPTAIN CORELLI'S MANDOLIN
CAPTAIN CORELLI'S MANDOLIN
BY LOUIS DE BERNIÈRES ADAPTED BY MIKE MARAN

A wonderful story of laughter and tears, life and death, love, coffee and a goat.

The date is 1941. War has engulfed the beautiful Greek island of Cephalonia and Mussolini's Italian forces invade. Amid the chaos an unlikely love story starts to blossom.

Betrothed to another man, Pelagia's life veers from the traditional when mischievous Italian Captain Corelli wins her over with his music, benevolence and zest for life. But can their love survive when the Italians are replaced by a German occupation?

Company actors Tony Casement, Roger Delves-Broughton and Gus Gallagher are joined in this exciting international co-production by leading Georgian actor Natuka Kakhidze, Mike Maran and seven puppeteers, who operate scores of beautiful character puppets to bring you this version of Louis de Bernières' extraordinarily moving modern classic.



5 - 6 ოქტომბერი
სპექტაკლი „კაპიტან კორელის მანდოლინა“
მდებარეობა: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
(დიდი სცენა)
ბილეთის ფასი: 15, 20, 25 ლარი
დასაწყისი: 20:00

5th – 6th October
Performance "Captain Correll's Mandolin"
Venue: KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE
(Big Stage)
Ticket Prices: 15, 20, 25 GEL
Beginning At: 20:00

# www.donkashow.com





კომპანია Finzi Pasca-ს, ჩეხოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალისა და თეატრ ვიდი-ლოზანას ერთობლივი პროექტი, შვეიცარია

Production of Company Finzi Pasca and Chekhov International Theatre Festival in co-production with Théâtre Vidy – Lausanne, Switzerland

# დონკა – წერილი ჩეხოვს

პიესის ავტორი და რეჟისორი - დანიელ ფინზი პასკა

# Donka a letter to Chekhov

Written and directed by Daniele Finzi Pasca

პიესის ავტორი და რეჟისორი – დანიელ ფინზი პასკა

ანტონ ჩეხოვის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩეხოვის ფესტივალის პროექტების ფარგლებში.
მხარდაჭერა: რუსეთის მთავრობა, ქალაქ მოსკოვის მერია, AIL SA, ლუგანო, ტიჩინოს კანტონი და რესპუბლიკა, Swiss-loss Fund, Pro Helvetia, Migros Cultur Percentage, Ernst Goehner Stiftung; Fidinam SA

ავტორი და რეჟისორი – დანიელ ფინზი პასკა
კომპოზიტორი – მარია ბონზანიგო
დამდგმელი რეჟისორი – ანტონიო ვერჯამინი
მხატვარი – უგო გარჯიულო
შემოქმედეებითი პარტნიორი – ჟული ჰამელინი
კოსტიუმების მხატვარი – ჯოვანა ბუზი
ქორეოგრაფი და მხატვარი-გამნათებელი – დანიელ ფინზი პასკა
ქორეოგრაფი და ხმის ოპერატორი – მარია ბონზანიგო
ვიდეოდიზაინერი – რობერტო ვიტალინი
რეჟისორის ასისტენტი – ფაკუნდო პონსე დე ლეონი
ფოტოგრაფი – ვივიანა კანგიალოსი
საორკესტრო მუსიკა ჩაწერილია სერგეი რახმანინოვის სიმფონიური ორკესტრის მიერ (მოსკოვი), მოსფილმის „ტონსტუდიოში“
დირიჟორი – მაესტრო სერგეი კონდრაშევი
მღერის ვ. რიბინის ვოკალური ანსამბლი
გაორკესტრება ალექსანდრ ვოლკოვის

მონაწილეობენ:
მოირა ალბერტალი, კარენ ბერნალი, ჰელენა ბიტენ-კური, ანდრე ან ჟინგრას-როი, დავიდ მენესი, ფელიქს სალასი, ბეატრის საიადი, როლანდო ტარკინი

## სპექტაკლის შესახებ:

ცირკის დიდებული მაგიის საშუალებით - მოცეკვავეები, აკრობატები, ჟონგლიორები და ეკვილიბრისტები დიდებულ შოუს წარმოგვიდგენენ და ხოტბას ასხამენ ჩეხოვს. „დონკა“ დანიელე ფინზის უკანასკნელი ქმნილებაა. პასკა მსოფლიოში აღიარებული დაუვიწყარი შოუების შეუდარებელი ავტორია Cirque Éloize-სა და Cirque du Soleil-თან ერთად. ამჯერად დანიელ ფინზი პასკა წარმოგვიდგენს მწერლის მთელ ცხოვრებას: მის დღიურებსა და ნაშრომებს, ჩანაწერებსა და შენიშვნებს. ფინზი პასკა ცდილობს განმარტოს ავტორის კომენტარები და მის შემოქმედებაში გამეფებული ენიგმატური სიჩუმე. დონკა, რუსულად, ანკესზე მიმაგრებული პატარა ზარია, რომელიც რეკავს, როცა ანკესს თევზი წამოეგება. თავად ჩეხოვს უზომოდ უყვარდა თევზაობა. მისთვის ეს გართობა ერთგვარი მედიტაცია იყო. ფინზი პასკა ფრიად მოხიბლა ამ ფაქტმა, რადგან თავადაც, როგორც შემოქმედი, გამუდმებით თევზაობს ფანტაზიის უკიდეგანო ზღვაში, რეთა მსახიობებითა და საგნებით სცენაზე გააცოცხლოს ავტორის შემოქმედება. დასი საერთაშორისოა და შედგება სხვადასხვა ჟანრის შემსრულებლებისაგან. აქ არიან: კლოუნები, მოცეკვავეები, მუსიკოსები და აკრობატები. მარია ბონზანიგოს დიდებული მუსიკა ხმაურიანი ხალიჩასავით იშლება და შორეულ რუსეთში გვაბრუნებს. სრულდება ძველი რომანსები, ვალსები

Written and directed by Daniele Finzi Pasca

Musical composer and orchestrations: Maria Bonzanigo
Director of creation: Antonio Vergamini
Set and accessories designer: Hugo Gargiulo
Creative Associate: Julie Hamelin
Costumes designer: Giovanna Buzzi
Light designer and choreographies: Daniele Finzi Pasca
Sound designer and choreographies: Maria Bonzanigo
Video designer: Roberto Vitalini for bashiba.com
Make-up designer and props maker: Chiqui Barbé
Cyr Wheel inventor: Daniel Cyr
Researcher and director's assistant: Facundo Ponce de Leon
Photographer Viviana Cangialosi

Performed by: Moira Albertalli, Karen Bernal, Helena Bittencourt, Andrée Anne Gingras-Roy, David Menes, Felix Salas, Beatriz Sayad, Rolando Tarquini,
Tour director and stage manager: Andrea Caruso Saturnino
Technical director on tour and machinist: Lorant Voros
Technical co director and lights technician: Guillaume Labelle
Rigger: Jens Leclerc
Sound technician: Fabio Lecce
Project Manager: Chiqui Barbé
Technical coordination: Alexis Bowles
Photographer and grapchic designer: Viviana Cangialosi
Assistant to light designer Pierfranco Sofia
Assistant to sound designer: Fabio Lecce
Assistant to the set designer: Barbara Bedrina
Assistant to the director of creation: Miriam Mazza
Stagiaires: Marzio Picchetti, Pilar Del Campo, Sebastiano Pedrazzini

The orchestra music was recorded by the Sergei Rakhmaninov Symphony Orchestra (Moscow) at the Mosfilm "Tonstudio" and was conducted by Maestro Sergei Kondrashev.
Choir: V.Rybin Vocal Ensemble
Mixing: Alexander Volkov

## About Performance:

